РХ 4828/1.
ი 48/1581

Akhundov House

თბილისი, გორგასლის ქ.17
17 Gorgasali str., TBILISI
tel: +995 32 275 02 07

მირზა ფათალი ახუნდზადეს
(ახუნდოვის) სახელობის

„აზერბაიჯანული კულტურის
მუზეუმი"

"Museum of Azerbaijani Culture"

named after Mirza Fatali Akhundzade (Akhundov)

ეს სახლი, რომელიც თვითონ მირზა ფათალიმ ააშენა და სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა, 1982 წლიდან მუზეუმის ფუნქციას ასრულებს. 2012 წელს მ.ფ. ახუნდზადეს დაბადებიდან 200 წლისთავისათვის აქ კაპიტალური რემონტი ჩატარდა და შენობამ ამჟამინდელი სახე მიიღო... მუზეუმის საექსპოზიციო ნაწილი ექვსი დარბაზისგან შედგება.

პირველი დარბაზი აზერბაიჯანის უძველეს და თვითმყოფად კულტურისადმია მიძღვნილი. აქ შეგიძლიათ გაეცნოთ აზერბაიჯანული ეროვნული ტანსაცმლის ნიმუშებსა და ხალხური რეწვის სხვადასხვა დარგის – მეთუნეობის, ოქრომჭედლობის, ხალიჩების ქსოვის, ქვის, ხის, ძვლისა და ტყავის დამუშავების ნიმუშებს. ნახავთ ცნობილი აზერბაიჯანელი მხატვრებისა და კომპოზიტორების ფოტოსურათებს და მოკლე ცნობებს მათ შესახებ.

მეორე დარბაზი მ. ფ. ახუნდზადეს ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს. ამ დარბაზში თქვენ გაეცნობით ბევრად შემცირებულ მაკეტს იმ სახლისა ქალაქ ნუხაში (ახლანდელი შექი), რომელშიც მირზა ფათალი დაიბადა 1812 წლის 30 ივნისს, მისი ოჯახის წევრების ფოტოსურათებსა და მის ხელნაწერთა ასლებს.

მესამე დარბაზი მირზა ფათალის სასტუმრო ოთახის ასლს წარმოადგენს. ამ ოთახის ინტერიერი საარქივო მასალებს შორის აღმოჩენილი ძველი ფოტოსურათის საფუძველზე იქნა აღდგენილი. აქვე წარმოდგენილია იმ ცნობილი ადამიანების, პოეტებისა და მწერლების სურათები, რომლებსაც ახუნდზადესთან ჰქონიათ კავშირი. ესენი არიან: ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი, გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ ლერმონტოვი და სხვები.

მეოთხე დარბაზს პირობითად შეგვიძლია „მუსიკალური“ ვუწოდოთ. აზერბაიჯანული მუსიკისადმი მიძღვნილ ამ დარბაზში თქვენ განთქმული მომღერლებისა და მათი

ანსამბლების, აგრეთვე იმდროინდელი კონცერტების აფიშების ფოტოებს იხილავთ. აქვე აზერბაიჯანის რამდენიმე ეროვნული საკრავია გამოფენილი – თარი, ქამანჩა, საზი, დაირა.

მეხუთე დარბაზი – მ. ფ. ახუნდზადეს სამუშაო მემორიალური ოთახია, სადაც მწერლის პირადი ნივთები ინახება: საწერი მაგიდა, წიგნების კარადა, კედლის საათი და ლამფა. ამ ოთახში მირზა ფათალიმ არაერთი ფასეული ნაშრომი შექმნა. აქ აგრეთვე იხილავთ გარეკანის ასლებს მისი წიგნებისა, რომლებიც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა ენებზე გამოიცა.

მეექვსე დარბაზი აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობას ეძღვნება. აქ წარმოდგენილია ნამუშევრები, რომლებიც აზერბაიჯანელი და ქართველი მოქანდაკეების ურთიერთმეგობრულ კავშირებს გამოხატავს. წარმოდგენილია თბილისში არსებული ჰეიდარ ალიევის სახელობის სკვერის, მ. ფ. ახუნდზადეს სახელობის სკოლისა და ბიბლიოთეკის და აგრეთვე ბაქოში „თბილისის პროსპექტისა“ და „მეგობრობის ძეგლის“ ფოტოსურათები.

This house built by Mirza Fatali himself, where he lived till the last days of his life, has been working as a museum since 1982. In 2012, for the 200th anniversary of M.F. Akhundzade's birth, the building was completely renovated up to its present appearance.

The exposition department of the museum consists of six halls.

HALL I is dedicated to the rich and ancient culture of Azerbaijan. Here one can see the examples of national dress, along with exhibits of various arts from the history of Azerbaijan, such as pottery, jewelry, carpet making, and works in stone, wood, bone and skin processing. Photos and brief information about the famous artists and composers of Azerbaijan are also presented here.

HALL II reflects the life and work of Mirza Fatali Akhundzade. In this hall you are presented with the necessary materials in order to visualize the life of Mirza Fatali. The model of the house presented here, in miniature, is a copy of one typically in the province of Azerbaijan – called Shaki (formerly Nukha), where he was born on the 30th of June 1812. Photos of his family members, and of the school where he used to study are also presented here, alongside with the copies of his manuscripts.

HALL III – Mirza Fatali's reception room. The interior of this room was remade in detail according to the old photo found among the archive materials. The hall also presents you with photos of famous people, poets and writers, who were connected to Akhundzade or his work. They are: Aleksander Bestuzhev-Marlinsky, Grigol Orbeliani, Mikhail Lermontov and others.

HALL IV can be called "musical". This hall is dedicated to the music of Azerbaijan, you can see photos of the most famous singers of the time and their bands, the posters of their concerts. Some national instruments of Azerbaijan - tar, kamancha, etc. are also demonstrated here.

HALL V – a memorial workroom for Mirza Fatali Akhundzade, The objects presented here – a desk, a bookcase, a lamp and a clock – are all personal items of Mirza Fatali. In this office, Akhundzade was writing till the last days of his life. The copies of his books, published throughout different years in different languages are presented here.

HALL VI is dedicated to the friendship between Azerbaijan and Georgia. Works expressing the mutual friendship of Azerbaijani and Georgian sculptors are displayed here. Here you can also see the photos of the garden named after Heydar Aliyev, photos of a school, a street and a library in Tbilisi named after Mirza Fatali Akhundzade, as well as ones depicting Tbilisi Avenue and the "Monument of Friendship" in Baku.